



სალიტერატურულ და სამეცნიერო ნახატებიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 2

იანვარი, 6 1896 წ.

№ 2

შინაარსი: ძველი მტრობა ახალ ქერქში მახაკვალისა.—ცხოვრების სურათები ლექსი, სილოვანისა.—მიმოხილვა ან. წ—სა.—მოვარის ხალხი (ლეგენდა) ცანელისა.—ჰერცოლ ბრაუნშვეიგის საათი.—იჯალის ცეცხლქუჩისა ვიფი.სამოსეთი-ქა.—ძველი ლმერთი (ფრანგულიდან) მღ. გვარამაძისა.—განცხადებები.—

ძველი მტრობა ახალ ქერქში.


სოგორც ეტყობა, „ივერია“ ჯერაც ვერ შეერიგებია იმ გადაწყვეტილებას, რომლის მეოხებით წელს მტკიცე ბურჯი ჩადგა ქართლ-კახეთის სათავად-აზნაურო შკოლას.

სათავად-აზნაურო შკოლის კომიტეტმა, ამ მხნე და დაუღალავემა მებრძოლმა შკოლის კეთილდღეობისათვის, ჩვენ ჟურნალ-გაზეთებს ერთი კვირე კიდევ დაუთმო, სანამ შკოლის საზოგადოების საგანგებო კრება დადგენდა რაიმე განაჩენს, იმ გონიერი მოსაზრებით, რომ ჩვენ ჟურნალ-გაზეთებს თავისი აზრი გამოეთქვათ მის ერთეულ დასტამბულ მოხსენებაზე შკოლის ტიპის შესახებ. მაგრამ „ივერიის“ რედაქცია გაყმუნდა, ვითარცა ეგვიპტის სფინქსი, ალბათ იმ იმედებით, რომ ჩვენი აზრი უკვე ცნობილი აქვსო საზოგადოებას შკოლის გადაკეთების შესახებ და, აბა, ეინ გაზედავს ჩვენი აზრის უარყოფასო. ეტყობა, მის გამო იმან კრინტიც არ დაძრა.

მართლაც უნდა მოვავანოთ მკითხველებს, რომ „ივერია“ ამ ორი წლის წინათ დიდი წიშალ-

მდეგობა გაუწია ახლანდელ სათავად-აზნაურო შკოლის ტიპსა და დაუსვენებლათ ქადაგებდა: იგი უნდა გადაკეთდესო სამეურნეო შკოლათ. მაშინ „ივერია“ და მისი პარტია ძლევამომოსილი იყო და კიდევ გადაწყვეტია საზოგადოებას, დანიშნულ იყო კამისია შკოლის ახალი ტიპის შესამუშავებლათ. ამ კამისიაში თითქმის ყველანი „ივერიის“ მომხრენი ამოიჩინ და ყველას ეგონა, რომ ჩვენი შკოლის დღეინდელი ტიპის დღეები დათვლილი იყო. მაშინ ჟურნალი „ივერია“ დიდათ გამოეხარჩლა ამ საქმეს „ივერია“ აზრის წინააღმდეგ. მასში დასტამბულმა საფუძელიანათ *) შემუშავებულმა სტატუტებმა შკოლის ახლანდელი ტიპის შესახებ თუმცა დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს საზოგადოებაზე, მაგრამ, როგორც მოგვხსენებათ, ძალა აღმართს ხნავსო. მაშინ მატერია-

*) „საფუძელიანათ“—კამოებთ იმისთვის—რომ ჩვენმა სტატუტებმა მოღვაწემ კოსტანტინე ქრისტეფორის შემამაგვნილმა წერილით მიმართა მაშინ საზოგადოებას, რომ „ივერია“ დასტამბული წერილები შკოლის შესახებ წაკითხათ, სანამ იგი რასმე გადაწყვიტოს შკოლის თაობაზე.



რედ.

ლური ძალა „იუკრაინის“ ხელში იყო და ყველა ისე ფიქრობდა, რომ ახლანდელი სათავად-აზნაურო შკოლის ტიპი უნდა გაუქმებულიყო. გავიდა დრო, ენებათა-ღელვის ქარიშხალი დაოკდა. შკოლის კამისია შეუდგა საქმეს და რაც მეტს მუშაობდა, იმდენათ უფრო ჩნდებოდა კამისიის მოუშვადებლობა და ცალმხრივი მიმართულება. შკოლის გამგე კამიტეტს თავის მხრით არ ეძინა. იგი გატაცებული იყო მხოლოდ უმაღლესი პატრიოტული გრძნობით. მან დაკვირვდა ამ საერო საქმეში პარტიული შეხედულება და თვით გააკვლია სწორი და ნამდვილი, ახლანდელი მოთხოვნების შესაფერი, საშეილიშეილო საქმე. მართალია, შკოლის გამგე კამიტეტშიაც იყვნენ ისეთი წევრები, რომელნიც გულით „იევროის“ აზრის მომხრენი იყვნენ, მაგრამ მაგიერათ იქ იყო ისეთი საფუძვლიანი მსჯელობისა და ხასიათ-მტკიცე მოღვაწე, რომ მის მხნეობას, დალაგებით მსჯელობას და ღრმა პატრიოტულ მიმართულებას შეასკდა ყოველი პარტიული ბორგენა. ეს კაცი იყო რაფიელ ნიკოლოზის ძე ყაზბეგი, რომელსაც საქართველოს ერთ ღრმათ უნდა უმაღლოდეს ამ ფრიად ღიდ მნიშვნელოვანის საქმის გატანისათვის.

როგორც ეტყობა, „კვალის“ ფიცხი კამათიც ამ ორი წლის წინათ არ დაჩენილა „ხმად მღალაღებელისა უდაბნოსა შინა“. დრომ და გარემოებამ მოამწიფა ჩვენს საზოგადოებაში ის აზრი, რომ სათავად-აზნაურო შკოლის ტიპს არ უნდა შეეცხოთო, არამედ იგი უნდა დავამთავროთ და გადავაქციოთ მთელ ღიმნაზიათო.

საგანგებო კრების ორატორებმა ძალიან ნათლათ გამოარკვეს ეს აზრი. იმათმა ძლიერმა სიტყვებამ ისე იმოქმედა საზოგადოებაზე, რომ როცა დაადგინეს ხმის უმეტესობით საქმის გადაწყვეტა, ერთიც არ გამომდგარა იმ აზრის წინააღმდეგი, რომ სათავად-აზნაურო შკოლის ტიპი დარჩეს შეუცვლელათ და იგი დამთავრდეს მთელ ღიმნაზიათო.

ამ კრებაზე დაესწრენ „იუკრაინის“ მეთაურნი და მისი აზრის მომხრენიც, მაგრამ იმათ ერთი ხმაც არ ამოუღიათ, ისე მიემხრენ ზემოხსენებულს აზრს. ასეთმა ერთგულობით მოქმედებამ ღიდი სინარული გამოიწვია საზოგადოებაში. ყველას უფრო ის უხაროდა, რომ „იუკრაინის“ მეთაურნიც ბოლოს მიემხრენ კამიტეტის გადაწყვეტილებას. ერთი სიტყვით სრულათ გაიმარჯვა იმ აზრმა, რომელიც წინაღობით (კვალის) № 53-ში იყო გამოთქმული და რომელიც თითქოს საზოგადოების გულიდან იყო ამოღებული.

ამას შემდეგ იმედი იყო, რომ „იუკრაინის“ გარკვევდა, ერთგულათ შეუდგებოდა იმ ნიეთიერ სა-

შუალეგის გამოძებნას, რომელსაც უნდა დაეგვირგინებინა ღიდა ღეწლი შკოლის გამგე კამიტეტისა. და რა ეხილეთ? ბოლოს დეკემბრის 30-ს წარსულის წლისა დაიქუხა მრისხანეთ „იუკრაინის“ მეთაურმა: „ეშმაკები ტოკს ალობდენ და ღეინო არსად იყოო“. სანამდის სათავად-აზნაურო შკოლის ღიმნაზიათ გადაქცევას გადაწყვეტილთო, რატომ არ იფიქრეთ, რა საშუალებით გინდათ მაგ საქმის განხორციელება.

„სკოლის სრულ გიმნაზიათმე გამატება და ერთობ ამ თუ იმ სახით არსებობა სკოლისა სახსარზეა დამოკიდებული“... — ბძანებს ღიდი რიხით „იუკრაინის“ მეთაური.

„ბანკი ფულს მოგეცემსო და ყველა ბანკისაკენ თვალსა და ხელს იწედისო“ (ყველასი რა მოგახსენოთ და ვისაც ღიდი ღივიდენტების მადა აქეთ აღძრული, ისინი კი, მართალია, თვალსაც არ აშორებენ მას და ხელეხსაც გძლათ იწედიან.)

„ღიდი და პატარა მოვღგომიერთ ბანკს და ბლარტებსავით პირი დაგვიღია: პური არსებისა მოგვეციო“. (ჩვენ არ ვიცით პირი ვის დაუღია, მაგრამ ეს კი ვიცით, რომ ყველაზე უფრო ღიდი პირი თვით ბანკში მოსამსახურეებს და მის ხელმძღვანელს დაუღია: „პური ჩვენი არსებისა მოგვეციო“. გაიხსენეთ ამ ორი წლის წინათ წარმოთქმული სიტყვა, კახეთში მოგზაურობის დროს).

„რა თქმა უნდა გიმნაზია რომ ჩვენი გექონდესო — განაგრძობს „იუკრაინის“ მეთაური — კარგია, არც ის იქნება ცული, რომ ჩვენი უნივერსიტეტიც ვიქონიოთ, მაგრამ ამისთანა საქმეების ქეიშაზე აშენება უფუნტება იქნებაო“. გამოდის, რომ საგანგებო კრების გადაწყვეტილება ქეიშაზე აშენებული ყოფილა და ამას ამბობენ ისინი, რომელთაც ამ გადაწყვეტილებაში მონაწილეობა მიიღეს და ტაშის ცემით მიეგებენ ასეთს ღიდმნიშვნელოვანს საერო საქმეს.

ბოლოს „იუკრაინის“ მეთაური ასე ათავეებს: „ყოველს სურვილს, რაც გინდ სანატრელი იყოს, თუ ბანკის შემოსავლის განაწილებას თხოულობს, თავი უნდა დავანებოთ ჯერ ხანათ“. გამოდის, რომ „იუკრაინის“ პირდაპირ უარზე დგას „ჯერ ხანათ“ ბანკიდან სათავად-აზნაურო შკოლას ერთი კაპეიკიც მიეცეს იმაზე მეტი, რაც აქამდის ეძლეოდა.

მაშ რა ექნათ, რომ მეხუთე კლასია გასახსნეული და ამას წელსვე უქანასქნელი ორასი თუმანი ქირდება? ამის პასუხათ „იუკრაინის“ გვირჩევის: მიმართეთ თავად-აზნაურობას, რომელმაც „სასახლო და საღიდებელი განაჩენი“ დაადგინა: „ერთხმათ გაიწეროს ფონდის დასარსებლათ ფულიო“.

ყვეს შვილი მოუყვდა და ბუს მიუგდო, დიდი თავი გაქვს, შენ იტირო—სწორეთ ასე გამოდის „აგაქის“ მეთაურის ბძანებაც.

ნუ, ბატონებო, მაგას ნუ ინებებთ. რასაჭიროა, მაგცსთანა ლიბერალური ხერხით სიტყვის ბანზე აგდება.

მეოთხე საგანგებო კრებაზე ბ — ნმა ავალიშვილმა, ღირეკტორმა თფილისის სათავად-აზნაურო ბანკისამ, ძალიან ცხადათ და მჭევრმეტყველებით დაამტკიცა, რომ წელს ბანკს „ოთხმოცი ათასი მანეთი გადარჩება ნალდი მოგებიდან საქველმოქმედო საქმისთვისო.

ჩვენ სათავად-აანაურო შკოლას ყოველ წლობით ოცდა თორმეტი ათასი მანეთის მეტი ხარჯი არა აქვს. მესხეთე კლასის გასახსნელათ დაჭირდება კიდევ ორასი თუმანი. მაშასადამე ოცდა-თოთხმეტი ათასი მანეთი რომ გამოაკლოთ ოთხმოცი ათას

მანეთს, დარჩება კიდევ ორმოცდა ექვსი ათასი მანეთი. ორმოც-ორმოცი ათასი მანეთი, რომ ყოველ წლობით გადადვთ არწრუნისეულ ქარვასლის გამოსაყიდათ, ხუთ-ექვს წელიწადს ქარვასლაც გამოიყიდება და ჩვენი სათავად აზნაურო შკოლაც ღემნაზიათ დამთავრდება. მაშ რაღას იტკივებთ თავს უარას ყოფით. შეუდევით მხოლოთ გულწრფელათ საგანგებო კრების განაჩენების ასრულებას, ჩვენ მეტი არა გვინდარა.

რაცა შეეხება თავად-აზნაურობის მიერ ფულის გაწერის საქმეს ფონდის შესადგენათ — ამას რაღა თქმა უნდა, დიდი საქმეა. მოეკიდოთ ხელი ერთათ, ძმურათ ამ დიდ საქმის განხორციელებას და ესეც მალე ასრულდება, რადგან ჩვენი თავად-აზნაურობა იმდენათ არის თვით ცნობიერებაში მოსული, რომ დარწმუნებული ვართ, არას დაზოგავს ამ დიდი საქმის განხორციელებისათვის.

მაზაკვალი.

ცხივრების სურათები

III

გულშემატკივარი მეგობარი



მაო! შენც იცი, ძმობილო, რა გაჭირვებაც მადგია: სულილა შემრჩა, სხეული ჩემი აწ მეტი ბარგია.

დავთამყოფდი: ეით უწინ, კელარ მუშაობს მკლავები,— ღარიბთა ხიფათ-მახეში მეც სხვებთან ერთათ გავები.

მარტო რომ ვიყო, არ ვჩივი, ავითან წყურვილს, შიმშილსა,— მაკრამ ის მტანჯავს, რომ ეუმზერ დამშეულს, შიშველ ცოლ-შვილსა.

დღეს დილას ჩემი ელიკო მომეარდა ლოყაწითელი,— თოვლით დამწვარი, დამსკდარი მიჩვენა ფეხი ტიტველი.

და მითხრა: „ბაბა! რა ეუყუა, ხშირათ მგზავნიან გარეთო,

წულა არა მაქვს—და თოვლი მიყინავს ფეხებს მწარეთო...“

ხმა ვერ გავეცი,—უნებლიე თვალი ცრემლებით ამევსო... ცრემლი შევიშრე, მაგრამა ეკალი გულსა დამესო.

ღონე არა მაქვს, ძმობილო,— დამემშა მთელი ოჯახი; ერთი კვირაა—ამ თოვლში— არ გამითფია ოთახი.

თუმცა ავთ ვარ, მაინც კ მე შრომა არა მაკლია, და კიდევ ლუკმა პურს ვეძებ,— რო მოვეცდებოდე, მადლია...

მაგრამ არ ეკარგავ იმდესა,— დიღია ღმერთი ციერი,— სულ ავთ ხომ არ ვიქნები— მით მწყურვალი და მშვიერი?

მოვიჩივი, შრომას ეუმატებ, გავიორკეცებ ძალებსა,— თან ნუგეშს მივცემ ცოლ-შვილსა, თან მოვიშორებ ვალებსა...

თუ არ შენ, ვისლა შეეჩიელო
 ჩემი წუხილი, ვარამი?!..
 მეგობარსა გწერ—და ახლაც
 თრთის, მიკანკალებს კალამი...

ხუთი თუმანი მათხოვე.—
 გთხოვე, მიმეგობრო ეს ერთი,
 და მალე გამოგობრუნებ,—
 შემადლებიებს, მწამს, ლმერთი.

—შენმა წერილმა მაცნობა,—
 თუმცა წინეთაც მსმენია,—
 რა დღეშიცა ხარ, და თხოვნას
 რომ ვერ გისრულებ—მწყენია.

მაგრამ რა გიყო? რაცა მაქვს,
 ყველა ჩემს ოჯახს სჭირია,
 და გავალება, შენც იცი,
 რა დიდი ვასაჭირია...

ბანკში მაქვს, უნდა გავიტყდე,
 ათი ათასი მანათი,
 მაგრამ ის არის იმედი,
 ჩემი ცხოვრების მანათი.

და თუნდ ბეჯითათ ვიცოდე,
 რომ ხვალ მოეკვდები შიმშილით
 დღეს იმას ხელსაც ვერ ვახლებ,
 თუგინდ ვიჭერდე სულს კბილით.

რეაას-ცხრაასი მანათი
 ჯიბეშიცა მაქვს მე ფული,
 მაგრამ ეტლს, ცხენებს ვყიდულობ,—
 სხვასთან ვარ გარიგებული.

აღრე რომ ვეთქვა, შენს თხოვნას,
 ვგონებ, კი ავასრულებდი,
 სანამ ეტლსა და ცხენებსა
 საყიდლათ დავიგულებდი.

ახლა კი, რომ არ ვიყილო,
 სწორეთ, რომ აღარ მარგია:—
 იაფათ მაძლევს,—ცოლ-შვილის
 გასატარებლათ კარგია.

იქიდან ორას სამასი
 მომჩნება ჯიბის ფულათა,
 მაგრამ ხელს ხომ ვერ გავიცილო,—
 ვცხოვრობ თაეშენახულათა...

შენც ხედავ, ჩემო ძმობილო,
 რა საშვალეზაც მქონია,
 თვარა ვარს რომ არ გეტყოდნი,
 კი დამიჯერებ, მგონია.

დარწმუნდი, უარს რომ ვითელი—
 მწუხარებით ვარ ავსილი...
 შენი ერთგული ძმობილი
 და მეგობარი ნამდვილი.

სილაგაჩი

მიმოხილვა.



ხლა გადავფლოთ თვალს, წიგნების გამოცემებზე რა საზრდოს აწოდებენ ჩვენ საზოგადოებას.

დიდი აღსაცებით და გულ მხურვალეთ მივებუა ქართველობა თფილისში დაარსებულ „წიგნების გამავრცელებელ ქართველთა ამხანაგობას“. ყველა განუჩრჩევლათ: ლიტერატორი, მღვდელი, მასწავლებელი ერთმანერთს ულოცავდენ „ამხანაგობის“ დაარსებას, იწერებოდენ წევრათ, შეჰქონდათ წელიწადთ თავიანთი უკანასკნელი გროში. მართალია, საქმის მოთავენი უქადდენ წევრებს სარგებლის მიცემას, მაგრამ უმეტეს ნაწილს მათგანს ეს უკი არ ახარებდა, ბევრს აქამდის არცკი უფიქრია თავის

საწევრო ფულის სარგებლის გატანა. წევრების უმთავრესი წადილი იყო, რომ შეძლებოდათ თანხის შედგენა დიდ ძალი ხეირიანის წიგნების გამოსაცემათ და ამასთანავე გეინდოდა დაგვემტკიცებინა ყველასათვის, რომ ქართველებს ვაჭრობაც შეეგვიძლია. როცა „ამხანაგობამ“ სტამბა შეიძინა, მაშინ ხომ ჩვენ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

ახლა მეშვიდე წელიწადი დადგა, რაც „წიგნების გამავრცელებელ ქართველთა ამხანაგობას“ დაარსდა. ამ ექვს წელიწადში ვმ წიგნის გამოცემა ბევრი არაფერია, მაგრამ შევეურიგდეთ ამას იმითი, რომ იქნება რიტხვით ცოტა იყო, მაგრამ კარგები გამოიცა.

პირველ ორ-სამ წელიწადს „ამხანაგობა“, ხალისით მოეკიდა საქმეს, ჩენი მწერლების ნაწარმოების თავის მოყრა და გამოცემა მართლა, რომ

კარგი საქმეა: გამოვიდა დავითაშვილის, ყაზიბეგის და ილ. ჭავჭავაძის თხუზულებანი და თუმცა ერთობ ძვირათ ღირდა, მაგრამ „ამხანაგობამ“ მანც დაიმსახურა საზოგადოების ყურადღება.

მერე პეუდვენ აკაკი წერეთლის თხუზულების ბეჭედას, გამოცემის ორი ტომი და შეაყენეს. მიჰყევს ხელი რაფიელ ერისთვის თხუზულებას გამოცემას, მაგრამ ისიც შეაყენეს პირველ ტომს შემდეგ...

ამ უკანასკნელ დროს თითქმის აღარ ვხედავთ ღირსეულ საფუძვლიან გამოცემას, რომ ამითი ეპატიოს „ამხანაგობას“. ის წრიდან გადასული წიგნების სიძვირე. ამჟამაც წინეთ და ახლა დიდი განსხვავებაა: პირველ სამ წელიწადს ერთი, თუ ორი წიგნი მანც ღირდა აბაზათ, ახლა კი თავისი ახალი გამოცემებო, რომელნიც უმეტესათ არიან ამოკრეფილნი ჟურნალი „მოამბიდან“ და მამასადამე ხარჯი მარტო ქალაქისა უნდა იანგარიშოს კაცმა, სამ აბაზე ნაკლებ არ აფასებენ. (იხილეთ „აიფეგო“ და სხ.) გარდა ამისა ამ „ამხანაგობას“ მიუძღვის ერთი დიდი დანაშაული, რომელსაც თუ არ აცდენს, შეაძლებს თავს ყველა ქართველს.

ყველა ჩვენგანი მოვალეა ცდლობდეს ხალხში წიგნების გავრცელებას და უმეტესათ იმ თხუზულებების გავრცელებას, რომელნიც ეკუთვნის ჩვენ საუკეთესო მწერლებს და რომლითაც ჩვენ მდიდარი ვართ. უნდა ამითი თხუზულებები ნაწილ-ნაწილათ, პატარა წიგნაკებათ გამოიცეს და მაშინ ხალხი ხელაწიური ნაწარმოების წაკითხვით შეიყვარებს წიგნებს და მწერლებს—ამითი მრავალტომიანი ძვირფასი წიგნების ბაზარიც გაჩაღდება.

შორს რომ არ წავიდეთ, რუსეთზე მივუთითებთ: ლერმონტოვი, პუშკინი და სხვები იმათი გაავრცელებს რუსებმა, რომ მათი პოემები, დასურათებული კიდევ, ცალ-ცალკე, ხალხისათვის გამოცეს სამ კაზ. და ზოგი თითო კაპეკათ.

ჩვენში კი, „ამხანაგობამ“ შეიყიდა, ანუ უკეთუ ეთქვათ, დაისაკუთრა ყველა ჩვენი საუკეთესო მწერლების ნაწარმოები და არც თითონ ავრცელებს იაფფასათ და არც სხვებს აძლევს გამოცემის ნებას. არ გვინდა ეკადროთ „ამხანაგობას“ ანდაზა, თორემ ენაზე კი ვეაღვია. რომ ეს ყველა მართალია, გვიმოწმებებს თვით თფილისში დაარსებული პატარა წრე, რომელმაც განიზრახა საკუთრივ ხალხის საკითხავათ წიგნაკების გამოცემა. ამათ უნდა, მეტოლონე არ არი, ან ნათარგმნები, ან სამეცნიერო წიგნაკები მიაწოდონ ხალხსა, რადგან გამოცემულ საზოგადოების გამგობის აკრძალვის გამო, თუნდ თითონ ავტორებმაც მისცენ ნება-უფლება, არა აქვთ დასტამბონ და გაავრცელონ რაფ. ერისთვის, აკაკი

წერეთლის, ილ. ჭავჭავაძის, ალ. ყაზიბეგის და სხვა თხუზულებები. სამეცნიერო წიგნაკების მიწოდება ხალხისათვის ჯერ-ჯერობათ ცოტა ადრეა, სანამ ხალხი არ შეეჩვევა კითხვას ბელეტრისტულ თხუზულებებზე. მაშ ამ გამოცემულ „წრეს“ ასარჩევათ დარჩა მხოლოდ ნაწარმოები ახალი მწერლებისა, რომელთაც ჯერ არაფერი დამოკიდებულება არა აქვთ „ამხანაგობას“ თან, და თარგმნა. ამიტომაც, ჩვენი აზრით, ესენიც ზღაპრით ეკიდებიან თავიანთ საქმეს, (ამ ორ წელიწადს გამოცეს მხოლოდ 7 წიგნაკი).

ქუთაისის „ამხანაგობაზე“ ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ მას დიდი თანხა არა აქვს, არც ძვირათ აფასებს თავიანთ გამოცემას, მხოლოდ სასურველია უფრო მეტო მხნეობა და სიცოცხლე გამოიჩინოს.

ჩვენ გვაქვს კიდევ ერთი ფრიად საჭირო და კარგი დაწესებულება—„წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რომელსაც სხვათა შორის, მიზნათ აქვს წიგნების გამოცემა, მაგრამ 16 წელიწადია, რაც არსებობს საზოგადოება და მისი გამოცემანი რომ გავანაწილოთ წლიურათ, თითო წელს შეხვდება წიგნაკ ნახევარის გამოცემა, რადგან „საზოგადოებას“ ამ 16 წ. მხოლოდ 25 წიგნი გამოუცია, მაგრამ ნუ დავმდურებით, რადგან იქნება „საზოგადოება“ წესდების სხვა მუხლების ასრულებას ახმარებს დროს? შეძლება, ის ხსნიდეს შკოლებს, სამკითხველოებს, საკვირაო შკოლებს, მართავედს კითხვებს ბუნდოვანი სურათებით და სხვა... მაგრამ სად არის?.. რაღაც არა ჩანს რა. ამ ორ-სამ წელიწადს საზოგადოებას ახალი თითქმის არა გამოუცია-რა, თუ არ ჩავთვლით მეორე გამოცემას: კრილოვის იგავ-არაკებს აკაკისა და ნ. ბარათაშვილის ლექსებს, ხოლო 4 წიგნაკი, ისიც ნათარგმნი, დაუბაჭდავთ: მარიამი, ანუ ყვავილების კაპიტა, სვიის გვირგვინი, მამის ერთგული და ტრედი. ოთხივე შმიდტის მოთხრობებია. არ ვიცით, „საზოგადოებამ“ რა დაუფასებელი ღირსების გამო შეიყვარა ამ ავტორის ნაწერი. ჩვენ ვიტყვი მხოლოდ, რომ ეს მოთხრობები დაძველებულია და ეკუთვნის სანტომენტალურ შკოლას, რომელც ახლა არც სახალხოთ და არც ყმაწვილებისთვის აღარ იხმარება. ამ მოთხრობებში გამოყვანილია უზომო სიბოროტე და უზომო გულ-კეთილობა, რაღაც სასწაულით მოვლენილი. განა მნიშვნელობა ექნება, ახლა რომ გადაეთარგმნოთ „Иларамзин“-ის „საბრალო ლიზა?“ ამ გვარ მოთხრობებს თავის დრო, დიდა ხანია, მოუქამიათ.

რაც შეეხება კერძო პირების გამოცემებს, ამათ ვერაფერს ვერ ვუსაყვედურებთ, სანამ ხეირიანი კრიტიკა არ გვექნება, რომელმაც უნდა უჩვენოს იმათ სწორე გზა.

მთვარის ხალეები

(ლეკნა)

(გუძენი ჩემს მეგობარს ს. ო—ელს)

(შემდეგი *)

III.



ური უვდეთ!..“ — ეუბნება
მთვარე სხივებს, სულის სწორებს
და თვითონაც ქალს უცქერის,
უცქერს და თვალს არ აშორებს.
მიდის ქალი გულ-მოკლული,
ნაღვლიანათ მიდის ქალი,
სახლს მიადგა და შიგ შედის
შენიერების დედოფალი.
ცდილობს მთვარე სახლს ჩაჭერიტოს,
უნდა, რომ სცნოს, იქ რა ხდება
და მის კედლებ გარეშემო
სხივთა ჯარი ზედ აკედება.
მაგრამ გველო ცოტა ხანმა
და გაიღო სახლის კარი,
გარეშემო შეჯგუფული,
აშალა სხივთა ჯარი.
შიგ გამოჩნდა ტან-მალალი
ვაჟი მართულ-მოკაზმული,
ველ-მ-ნდერისკენ მიემართვის
და ურეკავს ჭაბუკს გული.
ეტყობა, რომ დადგამია
მწარე ბედის შემოდგომა
და სახეზე ახატია
თვე-განწირვით ბრძოლის ნდომა.
შეცქერიან ვაჟ-კაცს სხივნი,
უკან ჯარათ მიჰყვებიან,
ზოგ-ზოგი კი ზედაც მიეღწენ
და მთვარეს გარს ერტყმებიან:
— „ეს ისევა, ისევე, დედა:
ქალი ვაჟათ მოკაზმული!“ —
— „ჰო, შეილებო, იგრევა!“ —
ამბობს, მთვარე ბაკ-დასხმული.
— „ური ეუვდოთ, საით წავა,
თვალთან ნუ დაეჭკარაეთო
და შევიტყობთ მათ ნორჩ გულებს,
რა სწამლაეთ და რა ჩაგრაეთო!“
მაგრამ იგი აღარსად ჩანს,

მას ის თვალწინ გაეპარა:
ხევი განვლო და შავი მთის
შავ-ბნელ ჩრდილებს მოეფარა.
მიდევს მთვარე მას კვალ-და-კვალ,
განვლო გზები მან მრავალნი,
მაგრამ გზაზე შეეყარენ
სხივნი, უკან მომავალნი.

— „სით წავიდა — ჰკითხავს დედა
და შეცქერის პირ-ნაზ შეილებს —
— „ქვემოთ, ხევეში უპასუხეს —
მოეფარა მთების ჩრდილებს!
იქ რალაცა საქმე ხდება:
სიწყინარეა საშინელი,
თითქოს, რალაც აზრსა ჰფარავს
იმ ალაგას ღამის ბნელი.
არე-მარეს სედა აწევს
და შხამს ათხევეს ჯოჯოხეთი:
მთა ბარს შეღრენს და ბარი მთას,
რომ დაჰგლიჯონ ერთმანეთი.
ხმა მოისმის რალაც გვარი,
საშინელი, ვაჟ-კაცური,
წყევასა ჰგავს ჯოჯოხეთურს
და მის სმენას შიშობს ყური.
კლდეს არწივი დაჰყრიყინებს,
ბუ გაჰკივის გულ-საკლავი,
და მიდამოს, ფიქრით დაღლილს,
თავს აწევა გლოვა მწვევი.
ყველგან სუფევს გრძნეულობა,
სადაც ხდება სასაშიშრო,
წინათ-გრძნობა თვალწინ გვიდგას
და ჰკლავს ფიქრი გულს სასიმწრო!“ —
მთვარემ ეს რა მოისმინა,
შეფიქრა და მოიწყინა,
ამ ღროს კიდევ სხვა სხივები
უტეხ წარდგენ იმის წინა.
უთხრეს: ქვემოთ დაედიოდით,
გაეიწურეთ ოფლათაო,
მაგრამ ვერსად ერთი სულიც
ვერა ენახეთ სოფლათაო.
მხოლოთ შეგვხედა ბერი-კაცი,
ხელთ ეჭირა ჩანგურიო,
მოთქვამდა და იმის მოთქმას
შეტიროდა თან გულიო.
ამ სამღერის ყურის მგდები
მთა და ბარი ძგეროდო;
გზის პირს იჯდა ბერი-კაცი
და ამ გვართ მღეროდო:

*) ს. „კვლე“ № 1

„აასრდა ჩემი ქვეყანა,
დასუსტდა, დაიძლიაო,
გარ-შემოდგარის მტრის ბრძოლაში
დასცა და შეიღიაო.

ყმაწვილნი ომმა შეიკლა,
გაუკანნი საფლავს ჰქრინაო;
ოროდ კაცი მტერსე კარს
როგორდა აიყრინაო...“

თავის იმედი აღარ აქვს,
სსვისგან მოელის შევლასო!
ჩრდილოეთისკენ დაეკებს
ბედ-მოძვენ ცისარტყელასო.

იდრბობა ჩემი ქვეყანა
გაუგებობის ბნელშიო:
თუ დღეის ომში დამარტსდენ, —
თავს სსვას უგდებენ სელშიო.

გულ-გატყსილი დავდივარ,
აღარ ჭრის დონე შევლასო
და წინათ გრინობა სსზარი
ტრულ-ნიშნათ გადმომსავასო!

მთვარეს სახე ბაკ-დასხმული
შეუშფოთდა ამ ამბავზე
და ჩრდილოვან მთების დასწვრივ
გაემართა მალლა ცაზე.
თითქოს შედგა იქ, — სად ქალმა
დაიმალა ხევში თავი
და გრძნობს მთვარე, რომ ამ ალაგს
უნდა მოხდეს რაღაც ავი.
მოიწყინა, წარბი შეჰკრა,
ხმელეთს ნაღვლით გადმოხედა,
თვალი მოჰკრა: ვილაც დადის
ეკე ხევში მდელაზედა.
დაუკვირდა და შეიცნო:
ეკე არის ახოვანი,
გვერდს ქალწული მოდგომია
ხმალ-მორტყმული, ეფენის მგვანი.
მათ მახლობლათ მეომრები
დარაზმულან შექუჩულან,
ზოგი აქ დგას, ზოგი იქ ჩანს,
სერ გორებზე დაქსაქსულან.
იქვე ახლოს მთების ძირში
ვაფენილა რაღაც შავი,
უსაზღვროა, ზღვასებრ ღელავს,
არც აქვს ბოლო და არც თავი.
დაცქერს მთვარე იმათ ჩუმათ

ზედ აღვია მთების თავებს
და, არ იცის, იქ ის კრება
რას ნიშნავს და რას ასწავებს.
წყაზარ შეიღებს ქვემოთ გზავნის
სწორის ამბით შესატყობათ,
მაგრამ სხივნი ისევ უკან
ბრუნდებიან წყობა-წყობათ
და ამბობენ: ვერრას გაგზნით,
ვერაფერი ვერა ეცნეთო;
ენახეთ მხოლოთ: იქ ჯარი დგას
და მტრის ელის თითქო მხნეთო!
ამდროს უცბათ ახმაურდა
ძირს მდუმარი მთა და ტყენი:
გზა-ბილიკზე შავი მთიდან
გამოვარდა შავი ცხენი,
მაზე უკეთ შეენიერსა
ვერრას ნახავს კაცის თვალი;
ამაყობს და ცაა ხედება
მისი ფენის ნატერფალი.
ზედ ზის ვაჟი ახოვანი,
საომართ შეკაზმული,
ჯარს უყურებს მიდვრათ გასულს
და ურევას ვაჟ-კაცს გული.
ხმალი ხელში უჭერია
და ამხნეებს მამაც ჯარებს,
ყოველ ვაჟ-კაცს თვის ტუბილ მამულს
აფიცებს და ლომს ადარებს.
ამბობს: ვის აქვს ჭეშმარიტი
სიყვარული ქვეყნისაო,
შინ ცოცხალი აღარ მივა
ამ ბრძოლიდან დღეს ისაო.
დღეს დიდი რამ უნდა მოხდეს,
ცხადათა ვგრძნობ ამას მეო.
საბოლოოთ გადაწყვეტავს
ჩვენ ბედ-იღბალს დღეის დღეო;
საქმე რამ მაქვს გადაჭრილი,
არ გადავთქვამ არრას დროსო:
თუ დავმარცხდით, ხალხს სხვას მივსცემ
და შემდეგ მან განავასო.
მაგრამ თუ ჩვენ გავიმარჯვეთ,
თუ შევიმუსრეთ მტრის ძალიო, —
მაშინ თავზე შემოვივლეთ
თქვენ ეს თქვენი სარდალიო ..
აბა, ძმებო, დავდეთ თავი!..
ხმალი!.. ხმალი სარსეღებსო!..
— „სიკვდილი მტერს — ერთ-ხმათ ატყ-
დენ—
„გაუმარჯოს ქართველებსო!..
და ჯარები ეკე გორზე

იშლებიან ნელა-ნელა,
 თუ მტერი არ გააქციეს,
 სიკვდილს ფიქრობს გულში ყველა.
 მრავალ რაზმათ დაყოფილან,
 მრავალ ადგილს ღკანან ჯარნი;
 ერთ-მხრით ჩანან ჭაბუკების
 პირ-ტიტველნი, პირ-ნარნარნი;
 ფარ-ხმალ-შუბით შეკაზმულან,
 თავს უშენებთ კაბალახი;
 ვინც იხილოს, სხვა რა ნახოს
 მათზე ტურთა დასანახი?
 ეს რაზმია ქალთა რაზმი,
 ძალი ყოველ ძალთა მქონე;
 საღც ვუყვარვართ თავ-განწირვით,
 იქ რას არ იქმს კაცის ღონე!?
 ცხარე ბრძოლის სურვილ-ნდომა
 ახატია ყველას სახეს:
 თითქოს გულში დაცნინან
 გასაქირის სივაგლახეს.
 გადმოცქერის სიყვარულით
 მთვარე ჯარებს დაზაზმულებს,
 ნათელს აფენს დამატკობელს
 და ამშვიდებს მღელვარ გულებს.
 წყაზარ სხივებს ვერ იშორებს,
 შეძახიან: მადლიანო,


გვითხარ ბარემც, ვინ არიან,
 იქ საყვარლათ რომ ღვიანო?!
 — „ჩვენებია—ამბობს მთვარე —
 ამ ტკბილ ქვეყნის შვილებიო;
 წადით, შვილონო, ვალერსეთ,
 მოუკოცნეთ პირებიო!“ —
 და სხივები ძირს მირბიან,
 ჯარს გარშემო ესევინან,
 იარაღს და ქულაჯვებს
 ზედ ვარაყათ ეთხვეიან.
 უკო კნინან ვარდის ტუჩებს
 ახალგაზდა მეომრებსა,
 ოქროს შუქით უშენებენ
 გულ-მკერდსა და მამაც მხრებსა.
 მაგრამ ამდროს ზარ-დამცემათ
 მყის შეირყა მთა და ბარი:
 მტერი გაჩნდა შორე-ახლოს
 და ეკვეთა იმას ჯარი.
 ჯარებს შუა ისართ გუნდმა
 საზარელათ იწყო ფრენა,
 მთამ ხმა მოსცა ჯართა ყვირის
 და დაიხშო ყურთა-სმენა.

ცახელი


(დასასრული იქნება)

ჰერცოლ ბრაუნშვეიგის საათი

შას შემდეგ, რაც საათი გამო-
 იგონეს, ვარსკვლავთ მრიც-
 ხველები ცდილობდნენ გაეკე-
 თებინათ ისეთი საათი, რომ ზედ
 დროს გარდა ნაჩვენები ყოფილიყო
 დედაპიწისა ზ მნათობების მოძრაობა.
 ამისთანა საათებს შორის ყველაზე
 უფრო საკვირველი და შესანიშნავი
 ჰერცოლ ბრაუნშვეიგის საათი არის.
 ეს საათი იყო გამოკადებული ამ
 წლის აპრილს ჰეტერბურგში. ამისთანა
 საათის გაკეთება პირველათ მოუვიდა
 ფიქრათ ჰერცოლს კარლო-ფრიდრიხ-
 ბრაუნშვეილისას. იმის გაკეთებას ცდი-
 ლობდნენ საუკეთესო ევროპის მეხა-
 ნიკოსები ჩეილმეტს ქველიწაღს. ბო-
 ლოს მოახერხეს საათის გაწყობა 1853



ჰერცოლ ბრაუნშვეიგის საათი



ვეზუვის ამოხეტა

წელს. იმას აქვს ოთხმოცდა თუთხმეტი ციფერბლატი. შიგ მოწყობილია კოპერნიკის მზის სისტემის მიმოძრაობა თავის მნათობებით თურთ. საათი აჩვენებს საშუალებასტრონომიულ დროს, ვარსკვლავების ძრაობის დროს, მზის გადახრ-გადმოხრას, საუკუნო კალენდრებს, მზის ჩასვლისა და ამოსვლის დროს, ებრაელებისა და მახმადიანობის მოქცევის დროს, ზოდიაკის ნიშნებს, მთვარის ოთხ ცელილებას თვეში, ორმოცდა ათ სხვა-და-სხვა ვარსკვლავების გადასვლის დროს მერიდიანზე და სხვა და სხვ.

მართლაც, რომ საკვირველი მანქანებაა ეს სა-

ათი. ის არის შუშის ყუთში ჩადგმული. სიმაღლით ერთი საყენია და განით საყენ ნახევარი. იმას აქვს თორმეტი ათასი ბორბალი და ოცდა ექვსი სულ სხვა-და-სხვა-ნაირი მოსართავი. ზოგი მანქანა საათში ისეთი, რომ ოთხ წელიწადს ერთხელ უნდა მომართვა.

ჰერცოლმა ბრაუნშვეილისამ ეს საათი უანდერძა ჟენევის ქალაქს და მისგან როსტოვეცემა იყიდა, ახლა კი ბესსერის ქალის ხელშია. ის აფასებს ორმოცდა ხუთი ათას მანეთათ ამ საკვირველ მანქანას.

იტალიის ცეცხლმქმინავი მთების ამოხეთქა

ელს აპრილსა და მაისს ჩვენში მიწის ძვრა იყო. განსაკუთრებით საგრძნობელი იყო ეს მიწის ძვრა ბაქოს და ერენის მხარეებში. რა იყო მიზეზი ამ მიწის ძვრისა? ის, რომ გაღებული დედა მიწის გული აღელდა და სამხრეთის ევროპაში მდებარე ცეცხლმქმინავს მთებს გავსნათ მწვერვალოები და იქიდან ამოდინდა გაღებული მიწის გული, რომელიც, როგორც ცეცხლის მდინარე, ნაკადულებათ გადმოჰყვამთ მთების ფერდებზე და საცა მისი ნაკადული მოდიოდა, ყოველსავე წყავდა და აოხრებდა. ამასხით დაწეა მან მრავალი ევენახები და ბაღები, ზემოხსენებულ მთებზე მდებარენი. მკითხველს ეცოდინება, რომ სამხრეთ იტალიაში სამი დიდი ცეცხლმქმინავი მთაა: ვეზუვი, ეტნა და სტრომბოლო. ვეზუვი თვით ნეაპოლის მახრავში მდებარებს ზღვის პირათ, ხოლო ეტნა და სტრომბოლო სიცილიის ქალაკზე (კუნძულზე). ყველა ამ მთებს მწვერვალოები ქვევრის პირსავით აქვს დაღებული და შიგ წვეტიანი კლდეა ამოტუზული. ეს კლდე არის გაცივებული მიწის გაღებული ნადულისაგან გაკეთებული. როცა ახალი მიწის ნადული მოაწეება ქვეშიდან ამ გაცივებულს კლდეს, ის გასკდება და მის გვერდებიდან ამოხეთქს ახალ გაღებულ მიწის ნადულს. მაგრამ სანამ მიწის ნადულის ნაკადული ამოიდენდეს, მანამდის ამოვა მყრალი სუნინანი შავი კვამლი და მთის მწვერვალი თავის სიღრმიდან ისერის გამაგრებულ მიწის ნადულებს და აუარება მიწის ფერფლს, ასე რომ იმათგან ახალი მთები კეთდებიან. ძალიან შესანიშნავი სანახავია ღამით ცეცხლმქმინავი მთის მოქმედება. მის პირგაღებულ მწვერვალოდან ამოდის შავი კვამლის ხე, რომელიც გადიშლება ცაში და უზარ-მაზარ შავ მუხის ხეთ წიფენება მაყურებელს, თან მას ამოყვება უშველებელი გახურებული კლდის ნამხვლე-

ვები, რომელნიც ეცემიან მიწაზე, სკდებიან და ისეთი ხმაა, თითქოს ზარბაზნებს ისერიანო. ასეთი საშინელი ამოხეთქა ვეზუვისა, ეტნისა და სტრომბოლოსი, როგორც წელს იყო, ეს რამდენიმე საუკუნეა, აღარ ყოფილა. ახლა ამ მიწის გულის ამოწანეთქისაგან ვეზუვის მთას გაუკეთდა ორი ახალი მწვერვალო.

წელს ივლისის სამს — ამბობს იქ დამსწრე — დილის თერთმეტ საათზე ატყდა ძლიერი მიწის ძვრა, ცოტა ხანს იქით გავიხედეთ და შევნიშნეთ, რომ ვეზუვის მთაზე გაიხსნა განიერი მიწის ყელი, საიდანაც ამოდინდა უშველებელი ნაკადული გაღებული მიწისა, რომელიც ჩამოდიოდა მთას ფერდებზე ისე ჩქარა, რომ ორ საათში ვერს ნახევარს მეტს მიმდინარებდა.

ღამით ცეცხლმქმინავი მთის ყელი, ანუ ევროპულათ ეულკანი საოცარი და საშიშარი სანახავი იყო. მთას ფერდები დაუსკდა ყოველ მხრით, საიდანაც ამოდიოდა კვამლი, ამოქექუნდა ცეცხლის ალი და ამოისეროდა გახურებულს კლდის ნამხვლეებს.

მთელი ხალხი გამოსულია ამ დიდებულ სანახაობის საცქერლათ. ნეაპოლში სანტა-ლუჩიას ზღვის კიდე სულ ხალხით არის გავსებული.

ივლისის 7 რომის ქალაქიდან მოგვივიდა შემდეგი ამბავი: ეულკანიური მოძრაობა თანდათან ძლიერდება. ეტნა და სტრომბოლო უკან აღარ ჩამორჩენ ვეზუვისო. იქ გაღებულმა მიწის გულმა კიდევ ამოხეთქა და მისი ნაკადულები ცეცხლის ვეშაპსავით მოიზღაზნებიან მთების ფერდებზეა“.

სტრომბოლის მთა ძალიან ღელავს და თრთისო, ვეზუვიც თანდათან უმატებს გაღებული მიწის გულის ნაკადულის ამოდენასო, ასე რომ მის ძირში მდებარე სოფლები დიდ შიშში არიან, ვაითუ ცეცხლის ნაკადულმა აგვაოხროსო“. ამ ჟამათ კი კოველიეე გათავებულია. გაღებული მიწის ნაკადულები კლდეებათ იქცენ, თვით მთები ისე მშვიდობიანათ დგანან, თითქოს ბუზიც არ აფრენილიყო.

ძველი ღმერთი

II

განდევნილი კეისარი

(ფრანგულიდან *)



რთ წელს შემდეგ წა. ელენეს კუნძულს გადაკარგული იყო ოდესმე ქვეყნის მპყრობელი კეისარი ნაპლეონი. ტიალი, თითქმის ერთიანთ უღაბნო იყო ის კუნძული, მაჩრდილებელი ხე არსად იღვა. აქა იქ ჩნდენ შემუშავებული წერილი ეაკე ადგილები: ყოველგან კლდენი ცეცხლმქშინავ მთებისგან დარჩენილნი, ვრცლად გარშემორტყმულს უკიანე-ზღვასშუა რაღაცა საშინელი სატყვეო იყო!

ზღვის ახლოს ერთი ხშირ-ფოთლიანი ძეწნა გაზდილიყო, რომლის გძელი და ქვედაშეებული ტოტები კეისარს ცოტა რამ ჩრდილს აწვდიდა. მთელი საათობით იქ იჯდა, თვალთ-შეშტერებით უსაზღვრო ღვლვათ სიერცეს ათვალიერებდა!

იმ დროს ნაპლეონი უჩვეულო მწუხარებაში არის, მხოლოდ ბერტრან მხედარმთავარი ახლავს გვერდით. ის შერჩენია მხოლოდ ერთგულათ, რომელიც თავის ნებით მონაწილე გამხდარა თავის დამარცხებული ბატონის ფიცხელი სვე-ბედისა და გრაფი იოსებ რეთელი. ისინი სულით-გულით უმზერენ მეფეობიდან გადამდგარ მთავრის მწუხარ მდგომარეობას. უეცრათ კეისარი გადმოხედავს, მოუზრუნდება თავის სასახლის მცველს და ეტყვის: „იოსებ, ფონტენებლოს ციხეში შენ დაესწარ, როცა პიო VII-მ ამ ჩემს მომავალს ხედრზე იწინასწარმეტყველა?“

—ღიან, თვით-მპყრობელო ხელმწიფევე მე დამსწრე ვიყავ.

„გახსობს ჩვენი ნახვა და ლაპარაკნი?“

—ღიან, დიდებულო ხელმწიფევე, დაუვიწყებლათ მახსობს. არას დროს არ შემიძლია ფიქრიდან გადავდგმა. მღვდელმთავარი იმ დროს მე საზოგადო კაცათ არ მგჩვენებოდა!

„მაშუ?“

—როგორც ქვეყანაზე ქრისტეს მომაგიერეთ! სწორეს ამბობთ, შეილო, მე რომ მას მაშინ რასაც დავცინოდ, ახლა მე ჩემთვალწინ ძლიერ ქეშმარიტათ მომდის, სწორეთ, რომ ქვეყანაზე ქრისტეს მაგიერი არის მღვდელმთავარი.

ეს თქვა და ცოტა ხანს ჩუმათ დაფიქრებით ზღვისკენ გადაიხედა და შემდეგ ჰკითხა. მღვდელმთავრის სიტყვები განა ისევე ფიქრში გაქვთ?

—სულ ფიქრში მაქვს, დიდებულო ხელმწიფევე! ყოვლად სამღვდელო მამამ თქვა: „ძველი ღმერთი ისევე ცხოველი არისო“. მსოფლიო მოთხრობიდან გაჩვენათ, თუ როგორ დვენეს წარმართთ და ქრისტიან მფლობელთ ეკლესია და მღვდელმთავარი და, თუ როგორ შემუსრა ღმერთმა ეკლესიის მღვდენი. საღვდელ-მთავრო ტახტი და ეკლესია კი წინა-აღმდეგ მუდამ მტკიცეთ დაშთენ..

„თქვი, წინ წაიყვანე შენი სიტყვა, იოსებ, წინ წაიყვანე, ძალას ატანდა ნაპლეონი, შენიშნა რა რომ როგორღაც ვერ ჰხედავდა ჰაბუკი სიტყვის გაგძელებას.

— ისევე ძველი ღმერთი აგრეთვე თქვენ დიდებულებასაც შემუსრავს, თქვა მღვდელმთავარმა, თუ უკან არ დადგებით ეკლესიის დვენულებისაგან, მით რამ ღმერთი თავის სიტყვის შემნახავია, რომელიც დაპირებია ცვა-მფარველობას თავის ეკლესიასა და ამ ქვეყანაზე მის მომაგიერეს.

„ვგრეც არის, დემოწმა კეისარი. უკვე შენი საწყევო აესილიო თქვა პიომ, ბევრს აღარ გააწევს, მთელი ეკლესიის მღვდენლების ხედრთა მონაწილე უნდა გახდეთ; მღვდელმთავარი ცრუ წინასწარმეტყველი არ ყოფილა. ჩემ სახელმწიფოში კვერთხის შემმუსერენი კაცნი არ ყოფილან. თვით ყოვლის-მპყრობელი არის, რომ ის საქმე მან თავს გაიტანა! მე სულელი დიდებულის გამარჯვებებისგან დაბრკალებული ვერ ვხედავდი, თვარა თვრამეტი საუკუნეთ მოთხრობანი ჩამოდნათაც ცხადი და თვალ-საჩინოა, შევძლო ჩემი ჩავონება, რომ ყოველი ძლიერება პეტრეს კლდეზე დარტყმით შემუსრება! ქეშმარიტათ ძველი ღმერთი ცხოველი არის და თავის მომაგიერის შემწუხებელთ ყოველთ ძირს დასცემს, დაღწეწავს!

—არ მინდა წინააღმდეგ დადგომა თვითმპყრობელო ხელმწიფევე, თქვა ბეტრანმა და უარყოფდა, რომ რუსეთში ის საშინელი ფიცხი ზამთარი ღვთის ბძანებით არ მოსგლოდეს ჩვენს ლაშქართა. მაგრამ კი ნამდვილი გარდამწყვეტი ლიფსა იქმნა!

ბრძოლის ბედის გადამწყვეტელი ღმერთი არის მხედართ-მთავარი!—უპასუხა ბეჯოთათ ნაპონეონმა.—უკიანეში ეს მარტობა მოფიქრების დროს გვაძლევს. ამ ჩემმა უბედურებამ მხეღველობა მომიღვსა. დამარცხებანი, დაქცევაი და ტყვეობანი, რაც მომივიდა, სულ ყველა ეკლესიის მოთავის წინააღმდეგ ომით მომივიდა! სიმართლე აქვს პიო VII-ს,

*) ის. „ქაბლი“ № 1.

პეტრეს ტახტის ყოვლის მპყრობელმა მცველ მფარველმა ჩემი ტახტი შემესუსა!

ბერტრანმა საწინაღმდეგო რომ არა თქვარა, კეისარი კვალად თავის ღრმა ფიქრებში ჩაეარდა.

დიდხანს სიჩუმეს შემდეგ კვალად ისევ საუბარი დაიწყო: „ეგვიპტეშიო, თქვა, გავაცხადე, რომ ღმერთს ძე არა ჰყავს, დღეს კი იესო ქრისტეს ღვთაებას ფიცით ვამტკიცებ! ერთი ურია, რომელიც გარეგანი გამოჩინებით ღურგლის შვილი არი, ამბობს, რომ ღმერთი ვარ, უმაღლესი არსება, დამბადებელი ყოვლისფრისა. თავის ღვთაებას მრავალ-ნაირ სასწაულებით ამტკიცებს ხოლმე! მისი სასწაულებებისაგან უფრო ცხადათ, ამჟამათ მისი გამარჯვება მაჯერებს, რომ ღმერთი არის!

„გაკვირვებული ვართ დიდი ალექსანდრის ქვეყნის მპყრობელობაზე, მაგრამ რა არის ალექსანდრეს ქვეყნის მპყრობელობა ქრისტეს ქვეყნის მპყრობელობასთან? — არაფერი, ალექსანდრემ თუ ქვეყნები დაიპყრა მისი მპყრობელობა გავლელი იყო და წუთიერი. წინაღმდეგ იესო სულ მფლობელობს და თავისთავთან აკავშირებს არათუ ერთს რომელსავე ერსა, არამედ მთელ კაცობრიობის ნათესაეთა. მის ქვეყნის მპყრობელობას ათას რეაას წლამდის მოუწყვია და ეტვი არ არის, რომ ქვეყნის დასასრულამდისაც გაატანს!

და რა არის თითოეულ კაცზე ქრისტეს მფლობელობა? ის, რაც ყველაზე ძნელი არის გულის მოგება. ის, რომელსაც ბრძენ-გონიერი კაცი თავის სულ ცოტა მეგობრებისაგან, მაჰა თავის შვილებისაგან, სიძე თავის დედოფლისაგან, ძმა თავის ძმისაგან ბერჯერ ტყვილ უბრალოთ თხოულობს, — გული, სიყვარული, — ისევ იესო ათას რეაასი წლის მაღმა მილიონებზე სარგებლობს! ეს იმისთანა სასწაული არის, რომ ყოველ სასწაულებზე გადამეტებული არის! ალექსანდრეს, კეისარსა და ჰანიბალს, მთელი თავიანთ გონიერებით ამნაირი საქმე არ უქმნიათ. ქვეყნებზე იუფლეს, დიად; მაგრამ იქამდის ვერ მუძიდეს მიწვენა, რომ მაინც კაცობრიობის გული მოეგოთ. ხოლო ქრისტეს? — მისი შეძენილნი მილიონებით გულნი არიან ათას რეაას წლის აქეთ. მილიონები მისთვის წამებულნი გახდენ, მილიონებმა გულსმოდგინეთ მის უღელს ქედნი მიჰცეს, მისთვის ფიცხელი თავის უარყოფა თავს იღვეს. ვის შეუძლია ქრისტე ამ ყველა დიდ სასწაულებებისაგან არ იცნას, რომ თვით ის სიტყვა არის ღვთისა, რომელმაც ქვეყანა ვააჩინა“.

კაცი რომ ღრმით დაუფიქრდეს, განუჩივრობა ბერტრან მხედართ-მთავარმა, ვალდებულია აღიაროს, რომ ქრისტეს მეფეების მტკიცეთ არსებობა, რომე-

ლიც ამ ქვეყანას მწუხარებათა და თავის უარყოფათა ზედა დაფუძნებული არის, სამარადისო სასწაული არის!

„იცით, მხედართ-მთავარო — წინ წაიყვანა სიტყვა ნაპოლეონმა გაცეცხლებით — ურღოები ავამხედრე, რომელნიც გულსმოდგინეთ ჩემთვის სასიკვდილოთ თავს-წირაედენ; მაგრამ კი საჭირო იყო ჩემი საქმითათ იქ ყოფნა, თვალთ-მაქცური რიხი, საკუთრათ ჩემი ხმაურობა. არ ვიცო, რამე საიდუმლო რომ შევიძლო ჩემი სახელისა და სიყვარულისა გულთა შინა საუკუნოთ გამძლეეთ დამთენისა! ახლა წა. ელენისკუნძულში რომ ვიპოვები, სად არის ჩემის უბედურების პირმოთენენი? სად არიან ჩემი მეგობარნი? დიად, თქვენ ორნი, ანუ სამნი სულნი ჩემის პატიმრობის მონაწილე გამხდარხართ. ერთი წუთიც რომ გავივლის, ჩემი სხეული მიწათ გადიქცევა და მატლების დასაფქველი გახდება!“

„რანაირი უფსკრული არის ჩემს ღრმა სისაწყლესა და ქრისტეს სანიადაგო მეუფებასა შინა, რომელიც მთელ ქვეყანაზე იქადაგება, იყვარება და თაყვანიცელება? ცხოველი არის მილიონების გულთა შინა ათას წლობის აქეთ! განა ეს სიკვდილი კი არის? არა. იგი ცხოვრება არის! ქრისტეს ეს საუკუნო მეუფება ცხადათ გვიჩვენებს თავის ღმერთობასა. ხოლო უკეთუ ქრისტე ღმერთი არის, მაშასადამე მისი დაფუძნებული ეკლესიაცა ღვთიური არის. მისმა ყოველად ძლიერმა მკლავმა ის უნდა დაიცვას, დაიფაროს, არავითარი ჯოჯოხეთის მძლავრობა მას ვერ დაძლევს.“

ნეტავი თუ შემძლებოდა ყველა ქვეყნის მფლობელთათვის თქმა-ზახილი: პატივი ეცით ქრისტეს მომაგერესა, ნუ შეაწუხებთ, ნუ გაუმძლავრდებით მღვდელმთავარსა; თვარა შეგქავსთ, შეგმუსრავსთ თქვენ პეტრეს ტახტის ღვთიური მცველ-მფარველობა.

ამ დროს კეისარი დაწუმდა. ქარმა ამოიქროლა, ადგა თავის ნაჯდომი მაჩრდილობელი ხის ტოტების შუადან და გაიარა; უკიანეს მღვდლვარე ზეირთნი დაიძრენ, წამოვიდენ, ძლიერათ კლდეთ ეცენ, თითქოსო კეისარის წარმოთქმულ სიტყვებს სიხარულით ტაში დაუკრეს!

III

ნაპოლეონ III მღვდელმთავრის მტერი.

იოსებ რეთელ გრაფი 1864 წ. პარიეს თავის სასახლეში იჯდა, მოკითხვის წერილს კითხულობდა. შეენიერი სასახლის მცველი საპატიო მოხუცებულებაში შესულიყო. ნაპოლეონ III. საფ-

რანგეთის კეისარი უკანასკნელ წერტილამდის პატრეს სცემდა გრავსა, რომ ბიძა მისისთვის ერთგულათ ემსახურა და მის პატიმრობაში მონაწილე ყოფილიყო. შეიძლება, ეთქვათ, რომ რეთელი კეისარის სახლელთა წვერსავე ითვლებოდა. მის სიტყვას მთელ სამეფოთ წინაშე დიდი პატივი ჰქოდა. მაგრამ თვითან როგორღაც სრულიად თავზე არ ღებულობდა საქვეყნოთ სამსახურის ასრულებასა. ყველასაგან დიდებულის, ყველასაგან უფრო სანატრელი პატივის ჯილდო მისმიერ გამოცხადდნ შემუშავდა მხოლოდ თავისთვის და თავის სახლელულებსათვის ცხოვრება, სწავლას მიდევდა და საქვეყნო დედაქალაქის ამღვრეულებებში სიამოვნებას ვერ ჰგონებდა!

— კვალად საფრანგეთი მრუდის გზის დაჭერას იწყებს, აფრთხილებდა ხშირათ კეისარს. სტამბითი სიტყვა აღვირწახსნილია, სარწმუნოების მტერი, ზნეობის გამრყენელია. ერი ქრისტიანობას შორდება. სახელგანთქმული ბიძა თქვენი რომ ყოფილიყო, ის ამათ ასე თავს არ დაანებებდა მოქალაქური გონიერებისათვის.

ცხადათ ჩნდა, რომ ზნეობრივი მიხედვით ასე ფრთხილ გრავს არ უნდოდა საკეისრო მმართველობასთან კავშირის ქონება. ამისთვის ყოველ ნაირი სამსახურისაგან უკან დგებოდა.

ზაფხულობით რეთელ გრაფი თავის აგარებში ცხოვრება, ხოლო იმავე დროს მკათათვის ცხელ დღეებში პარიჟში ყოფნა მისგან მოუხდა, რომ ძლიერ ხელოვნურათ გამოსახული ხატის ნახვა უნდოდა, რომელიც იმ დღეებში გამოედგათ მეიდანზე და მისი ყიდვა ჰქონდა აზრათ.

დედაქალაქში მისვლის მეორე დღე იყო, რომ ზემოხსენებული წერილი მიიღო, რომელიმაც რიგ გარეთს მღელვარებაში შეიყვანა, რეთელს ხელები უკანკალებდნ, სახე ძლიერი ფერკრთომით დაჰფაროდა. საშინელი თვალთგავსებებით ჰხედავდა წერილსა. ერთ მხარეს გადადვა წერილი, ხელი უშობლზე გადიელო და ბალიშზე დაეშვა. რამდენსამე წუთს ისევე უძრავათ დარჩა, სულ თვალ-მოუცილებლათ წინ იხედებოდა!

განა შესაძლებელი საქმე არისო ეს?—დაიძახა ბოლოს.

—არა. შეუძლებელია!

ხელ-ახლავ აიღო წაიკითხა წერილი და, რა გაათავა, ხარი დააწკარუნა.

—ახლავე ეტლიო, უბრძანა სახლში შემოსულს სახლის მცველსა.

ერთსა და იმავე მღელვარებაში ტანისამოსი გამოიცვალა, ჩაჯდა ეტლში და კეისარის სასახლეს მიჰმართა. იქ კიბეებზე შეიარა, გავლო ბაკი, დიდებული სადგომები და შევიდა სახლში.

მაგიდასთან მჯდომი წერილს წერდა ერთი შუატანის ჩასუქებული კაცი, პირის სახეზე თითქმის მკედრის ფერი ედვა, გადაყვითლებული, უცხოველო და უკრძნობი. შეიძლება, გეგონებოდათ მისი პირის სახე მარმარილოსაგან გამობერილიყო, ისე უკრძნობი და ისე ფიცხელი იყო. მსხვილი უღვაშები პარბაგებზე ჩამოჰბურვოდა, თითქოს შეუფერებლის რისამე დასაფარავათ, წერილი თვალები ესხა, ზოგჯერ მახელი და მწყველელი, ზოგჯერ მზაკარი და მოლაღატე. ზოგჯერაც ერთიანათ იკარგებოდნ ქუთუთობებ ქვეშ, მთელი შეხედულება მისი უნდობლობას გამოხატავდა, საზარელი, გლახა და საზიზღარი იყო.

ეს კაცი ნაპოლეონ III კეისარი იყო, რომ იმ დროს თავის დიდებულების მაღალ წვეროზე ასულიყო, რუსეთი დაემდაბლებინა, ავსტრიას მორევიოდა, იტალიაც რამდენიმე მთავრების ნაოხრებზე იყო დაფუძნებული, რომ მის ჯარს ექირა, მღედელმთავრის ტახტის მამულების წარტაცებაზე ხელს უმართავდა და მის წარმატებულათვის თავი დაენებებინა. მთელი ქვეყანა ამ მხედართ-მთავრის ბძანებათა ყურადღებას აქცევდა და, როცა ნაპოლეონი უსიამოვნოთ წარბებს შეიხრავდა, ყოველთ გულში ცელილება შემჩნეოდათ და ყოველ ქვეყანაზე ქალაქის ფულს ფასი ქვეით ჩამოუარდებოდა!

„რა არის ეს საკვარელო, ჩემო გრაფო, რომ პარიჟში ხართ, ეს რა საკვირელებათაა?“—ასე შეძახა შინაურულათ კარიდან შინ შემოსულსა, რომლის მღელვარებას მაშინვე თვალის შეასწრო.

—შემთხვევით აქ გახლავარ, ბედნიერო ხელმწიფე! ანუ უკეთ ეთქვათ, ღვთიური წინაგანგებულებისა რალაც განკარგულება არის ჩემი აქ მოსვლა!

ნაპოლეონის წერილი თვალები რეთელს აკვირდებოდა. კეისარმა ახლო სკამზე მიუთითა და საჯდომათ.

„ჩანს რომ რაღაცაზე აღელვებულხართ, იმე დი მაქვს, უბედურება რამ არ იქმნება ამის მიზეზი?“

— საკუთრათ ჩემთვის არაფერი უბედურება არის, თვით-მპყრობელო ხელმწიფე! მაგრამ თქვენ კი უბედურება მოგელის, თქვენს სახლობასა და მთელს საფრანგეთსაც!

ნაპოლეონის ცივს, გაქვავებულს პირის-სახეს ამ სიტყვამ ცოტა რამ სიცხოველე მოჰგვარა: განკვირვების ნიშნები დააჩნდნენ ჩვეულებითს უცხოველო სახეზე.

— მომიტყევეთ ბედნიერო ხელმწიფე, რომ ჩემი ერთგულება და სიყვარული მე ამისთანა სიტყვების თქმაზე მაკანდიერებს, რომელნიც სახელმწიფო ჩვეულებათა ყოველ კილოთა წინააღმდეგნი არიან!

„თქვენ ქება არ გჭირიათ, ჩემო საყვარელო გრაფო! თქვენი ერთგულება ვიცი და პატივს გცემთ. თქვენი გავლილი ცხოვრება ჩემი კეისრობის სახლეულთ წრეში გრიცხავს, სათქმელი ცხადთ და გაბედვით მითხარით. რა გაქვთ თქვენ გასაანჩნლებელი?“

— დიდებულო ხელმწიფე! გდომებით მღვდელმთავრის განწირვა. ქრისტიანთა წმიდა მამას დაცვისა და დაფარვის მაგიერათ მტერთ ხელთა უგდებთ!

„რამ ჩაგადლოთ თქვენ მაგისტანა ექვებში?“

— ჩემის მეგობრის წერილმა მაცნობა ეგ მახლობელი განსაცდელი!

„რა ჰქვია შენ მეგობარს?“

— ბრძანება მიბოძეთ, დიდებულო ხელმწიფე, რომ ჩემი მეგობარი თქვენის მოწყალეების დაკარგვის განსაცდელში არ ჩაეკლდებოდა?

„თქვენი შეკითხვა მარტივათ უბრალო გამოკიდება არის, თქვა გაურკვეველათ კეისარმა. შეუძლებელია, რომ რეთელ გრაფის ვინმე მეგობარმა ჩემი წყალობა დაჰკარგოს, რაც უნდა უსიამოვნება მომაყენოს მან. ბერს არ გასწავს. გაზეთებმა ქვეყანას უნდა აცნობონ, ე. ი. იტალიასთან პირობით კავშირი უნდა დავიჭირო, შიგ ეს გადაწყვეტილებაც არის, რომ ორ წელს შემდეგ ჩვენი ჯარები რომიდან გამოვლენ: გარნა აქედან არავის არ შეუძლია შეადგინოს, რომ მღვდელმთავარს ჩვენ თავის მტერთ ხელთა მივსცემდეთ!“

— დიდებულო ხელმწიფე, გაფიცვით, თქვენ მაგ

პირობით ნუ შეეცდებით. ასე ევედრებოდა რეთელ გრაფი. ფარულ ამხანაგობათა ეკლესიის თავის წინააღმდეგი სიმძულეარე კარგათ იცით. რა ჩვენი ჯარი რომიდან გამოვა, სამღვდელმთავრო ტახტს ყოველ მტერთ ნიშანი უნდა მიეცესთ უმწეო პიო IX-ზე მისევისა!

ნაპოლეონი თვითან წვერი იყო იტალიელთ ფარულ-ამხანაგობისა, ნამდვილათ იცოდა, რომ რეთელის ნათქვამი მართალი იყო; მაგრამ გარეგან ეგრეთ აჩვენებდა, რომ მისი ლაპარაკი ვითამ უყვირდა!

„მე თქვენ არ შემიძლია დაგიჯეროთ, განა ჩვენ ჯარს შეუძლია, მუდამ დაცვა მღვდელმთავრისა? ფრანგების რომში ყოფნა განა მთელ სხვა ხელმწიფეთა შურს არ ატებს? არა. საქმის ამ ნაირი მღვდელმთავრობა უნდა დაბოლოვდეს. მღვდელმთავრის სამსახურის სიწმიდე, მისი ღირსება იმას ეგრე უშიშრათ დაიცვენ ყოველი მისი მტერების წინააღმდეგ, როგორც ჩვენი ჯარები.“

— მომიტყევეთ, თვით-მპყრობელო ხელმწიფე, კათოლიკე სარწმუნოების მტერთა არაოდეს არ იციან მღვდელმთავრული სამსახურის სიწმიდე. უკეთუ ჩვენ ჯარებს რომიდან გამოიყვანთ, მღვდელმთავარი ტყვე გახდება, იქნება კიდევაც მოკლულ იქმნას. ხოლო თქვენი დიდებულება თავის თავს, თავის სახლეულთ და მთელს საფრანგეთს დაქცევის განსაცდელში ჩააგდებს!

„სწორეთ თქვენი ნათქვამი საკვირველი სიტყვა არის! როგორ შეიძელით მაგნაირი შემცდარი აზრის გულში ჩაგდება. მღვდელმთავრობითი მფლობელობის სეეს რა დამოკიდებულება აქვს საფრანგეთსა და ჩემს სახლეულებსათან?“

— მეტათ მტკიცე დამოკიდულება აქვს. უკეთუ დიდ სახელოვანს ბიძა თქვენს მღვდელმთავარი არ დაეტყვევებინა და ეკლესია არ შეეწუხებინა, ექსორიზმი არ მოკედებოდა!

„საყვარელო ჩემო რეთელ! თქვენი ნაფიქრი გამოხატულება დღეს მე ვერ გამიგიაო, უთხრა ნაპოლეონმა. ისე გგონიათ, ევროპის ხელმწიფეები იმისთვის აუდგენ ბიძა ჩემს, რომ პატიმარი მღვდელმთავარი განეთავისუფლებინათ?“

— არა, თვითმპყრობელო ხელმწიფე! ეგ აზრი არა მაქვს, სწორეთ თვით სახელ განთქმული

ბიძა თქვენის დამმარცხებელი კაცი კი არ იყვენ, არამედ ის ყოვლად ძლიერი მკლავი, რომელიც თა-ვის ეკლესიას და თავის მომადიერებს ოცავს, იფა-რავს. შეთქმულნი ხელმწიფენი ღვთიური რისხებითი სამართლის შემსრულებლნი იქმნენ.“

კეისარი ჩუმად უტკებოდა გრაფსა, იმ სახით თითქოს ფიქრობდა, ეათუ რეთელი სრულ ჭკუაზე არ იყოსო.

— დეე, ჩემი ნათქვამი თქვენ ურიგოდ მიგაჩნ-დესთ, დაუმატა გრაფმა, მაგრამ, თვითმპყრობელო ხელმწიფეე, მე ჩვენებანი მაქვს.

„შემიძლია გავიგონო.“

— დიდი სიამოვნებით მოვახსენებ თქვენს დი-დებულეზას.

ეს თქვა გრაფმა და მოუთხრა ფონტენებლოს ცხენში პიო VII-ის და ნაპოლეონ I-ს შუა მომხდა-რი შესანიშნავი საუბარი. ეტყობოდა ნაპოლეონ III და ცინეით ისმენდა მის ამბავს. პიო VII-ის მოთხრო-ბის ჩვენებას შემდეგ— ასე დაბოლოვა გრაფმა თავისი სიტყვა— რომ ღმერთს მღვდელმთავრის შემაწუხე-ბელნი ყოველნი დაუმარცხებია და გაუფუჭებია. ძლიერი და მგრძნობიერი სიტყვებით გაჰწურთნა მან ბიძა თქვენი. მუდამ თვალ წინ უნდა მქონდეს იმ წმიდა მოხუცებულის სახე ხატი!

„ძველი ღმერთი ცოცხალი არისო“ — დაიძახა კეისარის წინაშე— „უნდა ენახო, თუ როგორ უნდა შეგმუსროსთ თქვენც ღვთის მკლავმა. შენი საწყეო უკვე ავსილია. ბერს არ გაჰსწევს, ეკლესიის მღვე-ნელთ ხვედრთა მონაწილე უნდა გაჰხდეთო“.

— ასე უწინასწარმეტყველა პიო VII და მისი წინასწარმეტყველება ჯერ ორი წელიც არ იყო გა-სული, რომ ასრულდა.

მღვდ. გვარამაძე.

(შემდეგი იქნება)

ჭედქორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლის.

განცხადებანი

ქართული თეატრი

კვირას, 7 იანვარს 1896 წ.

ქართული დრამატული საზოგადოების დასისაგან წარმო-დგენილი იქნება
ქ-ნ ავალიშვილისა, ეიფიანისა და ალექსიეე-მესსიშვილის მოხაწილეებით

I

„მარტალი“

ტრაგედია 5 მოქმედ. შილეერისა

მონაწილეობას ღებულობენ: ავალავისა, და სხვ. ბ-ნი ეიფიანი, ალექსი-მესსიევი, სვიმონიძე, გელეგანო-ვი, კანდელაკი, ადამიძე, შათირიშვილი, საფარავი, წე-რეთელი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივად

შეიკრძებისათვის ადგილები ლოჟების უკან 65 კაპ.

დასაწყისი სწორეთ 8 საათუხ

ოთხშაბათს 10 იანვარს სვიმონიძეს საბენეფისოთ წარმოდგენილი იქმნება „ვერაგობა და სიყვარული“ შილლერისა.

რეჟისორი ვლ. ალექსიეე-მესსიშვილი

2-ს იანვარს

უმთავრესი მოგება პირველი შინაგანი სესხის ბილეთებისა.

სეზონი		მარტალი		სეზონი		მარტალი	
ლ.წ.	პ.წ.	ლ.წ.	პ.წ.	ლ.წ.	პ.წ.	ლ.წ.	პ.წ.
823	30	200000	293	2	1000		
3412	8	75000	1397	36	1000		
11159	20	4000	4076	35	1000		
13929	45	25000	8944	38	1000		
2076	42	10000	416	26	1000		
6301	11	10000	11349	30	1000		
6855	4	10000	4905	28	1000		
18023	3	8000	5133	39	1000		
9916	28	8000	10687	29	1000		
14501	31	8000	12801	43	1000		
4561	9	8000	13303	37	1000		
12468	10	8000	8024	9	1000		
18629	38	5000	7552	23	1000		
18366	48	5000	8650	50	1000		
18674	2	5000	6803	3	1000		
10859	7	5000	10904	19	1000		
4621	36	5000	2203	41	1000		
4504	6	5000	17787	27	1000		
9599	46	5000	15040	23	1000		
15371	49	5000	3950	33	1000		

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1896 ГОДЪ
НА ЕЖЕДНЕВНУЮ ГАЗЕТУ

„НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“

(тринадцатый годъ изданія)

Въ 1896 г. „Новое Обозрѣніе“ будетъ выходить въ Тифлисъ, какъ и прошлые годы, ежедневно, по программѣ газеты литературной, общественной и политической **НО ВЪ УВЕЛИЧЕННОМЪ ФОРМАТѢ.**

ПЛАТА ОСТАЕТСЯ ПРЕЖНЯЯ: съ пересылкою и доставкою: на годъ—10 р., на полгода 6 р., на три мѣсяца—3 р. 50 к., на одинъ мѣсяць—1 р. 50 к. *За нашию:* на годъ—17 р., на полгода—9 р., на три мѣсяца—5 р. (Подписка принимается не иначе, какъ, считая съ перваго числа любого мѣсяца). Для сельскихъ учителей и благотворительныхъ учреждений **ПЛАТА Пониженная:** на годъ—7 р., на полгода—4 руб.

Для годовыхъ подписчиковъ, какъ городскихъ, такъ и иногородныхъ, обращающихся непосредственно въ контору редакціи, **ДОПУСКАЕТСЯ РАЗСРОЧКА** на слѣдующихъ условіяхъ: при подпискѣ вносится—3 р., къ 1-му марта—2 р., къ 1-му мая—3 р. и къ 1-му сентября—2 р.

Подписка и объявленія принимаются **ВЪ ТИФЛИСѢ:** въ конторѣ газеты, Барятинская ул., № 8.

Иногородные адресуютъ свои требованія: Въ Тифлисъ, въ редакцію „Новаго Обозрѣнія“.

Лица, подписавшіяся (безъ разсрочки) на годовое изданіе „Новаго Обозрѣнія“ 1896 г. въ настоящее время, будутъ бесплатно получать газету въ текущемъ году со дня подписки.

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1896 ГОДЪ
на армянскую газету

„МШАКЪ“

(двадцать четвертый годъ изданія)

Въ 1896 году „МШАКЪ“—газета политическая и литературная, какъ и въ прошлые годы, будетъ издаваться въ Тифлисъ, по прежней программѣ.

подписная цѣна съ пересылкою и доставкою на годъ—10 рублей; на полгода—6 руб.; на 3 мѣсяца—3 руб.

Подписка и объявленія принимаются въ Тифлисъ, въ конторѣ редакціи (уголь Баронской и Базарн. ул.)

Объявленія принимаются на армянскомъ, русскомъ и иностранныхъ языкахъ. Цѣна за объявленія—2 к. со слова.

Адресъ для всей имперіи: Тифлисъ, Редакція „Мшакъ“.

Адресъ для заграничныхъ подписчиковъ: Tiflis, Rédaction du journal arménien „Mschak“.